ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტი

მაკა ხუციშვილი

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

მზითვის ინსტიტუტი საქართველოში

კავკასიოლოგის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი

პაატა ბუხრაშვილი

თბილისი2011

ნაშრომი ეხება ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს- მზითვის ინსტიტუტს,მის წარმოშობასა და განვითარებას ,უძველესი დროიდან დღემდე. მასთან ერთად განხილულია ქალის უფლებები მზითევზე და მზითვის შემადგენლობის ცვალებადობა ქვეყნის კულტურულ-ეკონომიური დონის შესაბამისად.

ნაშრომის აქტუალურობას განაპირობებს ის ინტერესი საზოგადოებისა, რომელიც არსებობს მზითვის ინსტიტუტისადმი იგი ყოველთვის გადაჯაჭვულია საოჯახო ყოფასთან და არ არსებობს მის გარეშე. ოჯახის შექმნისას ასე თუ ისე მაინც დგას საკითხი თუ რა წარმოადგენს მომავალი საპატარძლოს პირად ქონებას.

სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი მიზანია მზითვის ინსტიტუტის განვითარების ისტორიის ჩვენება საიჯახო სამართლის შუქზე, იმ განსხვავებათა პოვნა, რომელიც თან სდევს ეპოქათა ცვლას.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა უკავშირდება ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის ისტორიის გამოცდილების გადააზრების პროცესში გარკვეული წვლილის შეტანას. ნაშრომში თავმოყრილია ის მასალები, რომლებიც მოძიებულია ქართულ და უცხოურ საოჯახო სამართლის ძეგლებში, წერილობით და ეთნოგრაფიულ წყაროებში და ეთნოგრაფთა გამოცემებში. ამ თვალსაზრისით ნაშრომი დაეხმარება აღნიშნული თემით დაინტერესებულ პირებს და გაუადვილებს მათ მზითვის ინსტიტუტთან დაკავშირებულ საკითხებსა და დომინანტურ ტენდენციებში ორიენტაციას.

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და ქვეთავებისაგან. ასევე ნაშრომს დართული აქვს გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის ნუსხა.

შინაარსი

შესავალი

თავიI

1. მზითევი და ქალის მემკვიდრეობის საკითხი
2. სათავნო
3. მზითევი
4. მზითვის მომზადება
5. ურვადი
6. ქალის დაბევება
7. ნიშნობა
8. საქორწილო
9. პირისანახავი

თავიII

1. მზითევში შემავალი მომგებიანი ქონების ძირითადი ელემენტები

თავიIII

1. მზითვის ინსტიტუტი წარმოშობის ადრეულ საფეხურზე
2. მზითვის ინსტიტუტიVIII-XVIII საუკუნეებში
3. მზითვის ინსტიტუტი XIX საუკუნეში
4. მზითვი თანამედროვე ყოფაში